

**4. სამაგისტრო პროგრამა
პოლიტიკურ მეცნიერებაში
(Graduate M.A. Program in Political Science)**

მოდულების/ქვემოდულების სახელწოდება

პოლიტიკური მეცნიერების სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა ემყარება მოდულარულ სისტემას, რომლის ფარგლებშიც სტუდენტის სასწავლო პროგრამა იგება საერთო სავალდებულო მოდულისა და ალტერნატიული ოთხი სამაგისტრო მოდულიდან ერთ-ერთის არჩევისა და მასში დახელოვნების საფუძველზე. ეს არჩევითი მოდულებია:

- პარტიები და კამპანიური მენეჯმენტი
- საჯარო პოლიტიკა/ადმინისტრირება
- შედარებითი პოლიტიკა: პოლიტიკა და საზოგადოება კავკასიაში
- საერთაშორისო ორგანიზაციები და გლობალური მართვა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი

პოლიტიკური მეცნიერების მაგისტრი (Master of Arts (M.A.) in Political Science)

პროგრამის ხელმძღვანელი

მალხაზ მაცაბერიძე, თსუ პროფესორი, პოლიტიკური მეცნიერების დეპარტამენტის დირექტორი

მოდულების/ქვემოდულების ხელმძღვანელები

პროგრამის მიზანი

პოლიტიკური მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მომზადებულია უცხოელ ექსპერტებთან აქტიური კონსულტაციების საფუძველზე. აღნიშნული პროგრამის შემუშავებაში იყვენენ ჩართული ღია საზოგადოების ინსტიტუტის (OSI) უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP) აკადემიური სტიპენდიების პროგრამის (AFP) საერთაშორისო კონსულტანტები: სტივენ ინგლი (სტირლინგის უნივერსიტეტის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი) და პიტერ ვან ჰიუტენი (კემბრიჯის უნივერსიტეტი, პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროგრამა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

სამაგისტრო პროგრამა პოლიტიკურ მეცნიერებაში ამზადებს სპეციალისტებს, რომელთაც შეუძლიათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პოლიტიკაში: სტუდენტები იღებენ კარგ თეორიულ მომზადებას პოლიტიკურ მეცნიერებაში; ეჩვევიან კრიტიკულ აზროვნებას; კარგად იცნობენ ქვეყნის პოლიტიკურ სისტემას; იცნობენ შესაბამისი პროფესიული ქცევისა და ეთიკის სტანდარტებს; პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიფართონ თეორიული თვალსაწიერი, განავითარონ და დახვეწონ პოლიტიკის ფენომენის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინოს დამოუკიდებელი კვლევის ჩვევები; პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებს პოლიტიკაში პროფესიული კარიერის გასაკეთებლად აუცილებელი ცოდნითა და ხერხებით.

პროგრამის შედეგი

პროგრამის დასრულების შემდეგ:

– მაგისტრანტი უნდა ფლობდეს დრმა ცოდნას იმ საგნებში, რომლებიც მან შეისწავლა და იმ სპეციალობაში, რომელსაც არჩეული მოდულის ფარგლებში დაეუფლა. ეს კვლევის

კონტექსტში უზრუნველყოფს იდეის ორიგინალური განვითარების და/ან გამოყენების საფუძველს ან შესაძლებლობას.

– მაგისტრს უნდა შეეძლოს საკვლევი საკითხის გამოკვეთა და დასაბუთება; კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლის განსაზღვრა; ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება და ამის საფუძველზე პოლიტიკური პროცესების ანალიზი; უნდა გააჩნდეს ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეეძლოს თავი გაართვას სირთულეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, რომლებშიც მისი ცოდნისა და მოსაზრებების გამოყენებასთან დაკავშირებული სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობაც აისახება;

– ამ უნარ-ჩვევების გამოყენება კონკრეტული საკითხებს გადაწყვეტისას პრაქტიკული საქმიანობის პროცესში; შეეძლებათ ცოდნისა და პრობლემების გადაჭრის უნარის გამოყენება ახალ ან უცნობ გარემოში თავიანთ დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში;

– კვლევითი და პრაქტიკული მუშაობის შედეგების წერითი და ზეპირი პრეზენტაცია. შეეძლებათ თავიანთი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროები

მაგისტრატურის კურსდამთავრებულს შეუძლია გააგრძელოს როგორც არჩეულ სფეროში მეცნიერული მუშაობა, სწავლა დოქტორანტურაში, ასევე აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ საქმიანობაში: იგი მომზადებული იქნება იმისათვის, რომ იმუშაოს როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე არასამთავრობო სექტორში; იყოს პრაქტიკული ფუნქციონერი; შეასრულოს პოლიტიკური ანალიტიკოსის და პოლიტიკური კონსულტანტის როლი კვლევით ცენტრებსა და ინსტიტუტებში; იმუშაოს მედიაში – პოლიტიკური ჟურნალისტიკის სფეროში.

პროგრამაზე მიღების წინაპირობები

- ბაკალავრის ხარისხი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში;
- სასურველია ინგლისური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენების ცოდნა სულ მცირე, B2 დონეზე მაინც.

საგამოცდო საკითხები

1. პოლიტიკის განსაზღვრება

პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს მართვის ხელოვნება. პოლიტიკა როგორც საჯარო პროცესი. პოლიტიკა როგორც კომპრომისი და კონსენსუსი. პოლიტიკა როგორც ხელისუფლება.

2. პოლიტიკის შესწავლა

მიდგომები პოლიტიკის შესწავლისადმი. ფილოსოფიური ტრადიცია. ემპირიული ტრადიცია. მეცნიერული ტრადიცია. უახლესი ტენდენციები (საზოგადოებრივი არჩევანის თეორია; ფემინიზმი; პოსტმოდერნიზმი; ახალი ინსტიტუციონალიზმი). შეიძლება თუ არა პოლიტიკის შესწავლა იყოს მეცნიერული. ცნებები, მოდელები და თეორიები.

3. პოლიტიკური სისტემები

პოლიტიკური სისტემის ცნება. პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციის მნიშვნელობა. კლასიკური ტიპოლოგიები (არისტოტელე, ჰობსი, ლოკი, მონტესკიე). "სამი მსოფლიოს" ტიპოლოგია. თანამედროვე მსოფლიოს რეჟიმები (დასავლური პოლიარქიები, ახალი დემოკრატიები, აღმოსავლეთაზიური რეჟიმები, ისლამური რეჟიმები, სამხედრო რეჟიმები).

3. პოლიტიკური იდეოლოგიები

პოლიტიკური იდეოლოგიის ცნება.

ლიბერალიზმი. ლიბერალიზმის ელემენტები. კლასიკური ლიბერალიზმი. თანამედროვე ლიბერალიზმი. ნეოლიბერალიზმი

კონსერვატიზმი. კონსერვატიზმის ელემენტები. პატერნალისტური კონსერვატიზმი. "ახალი მემარჯვენეები". ნეოკონსერვატიზმი.

სოციალიზმი. სოციალიზმის ელემენტები. მარქსიზმი. მარქსიზმის ელემენტები. ორთოდოქსული მარქსიზმი. თანამედროვე მარქსიზმი. სოციალ-დემოკრატია. მესამე გზა.

სხვა იდეოლოგიური ტრადიციები. ფაშიზმი. ანარქიზმი. ფემინიზმი. ეკოლოგიზმი. რელიგიური ფუნდამენტალიზმი.

4. დემოკრატია

დემოკრატიის განსაზღვრება. ხალხის ცნება. როგორ უნდა მართავდეს ხალხი. ხალხის ხელისუფლების ფარგლები. პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატია.

დემოკრატიის მოდელები. კლასიკური დემოკრატია. სამეურვეო დემოკრატია. განვითარების დემოკრატია. სახალხო დემოკრატია.

დემოკრატია პრაქტიკაში. ლიბერალური დემოკრატია. პლურალისტური მიდგომა. ელიტისტური მიდგომა. კორპორატივისტული მიდგომა. "ახალი მემარჯვენეების" მიდგომა. მარქსისტული მიდგომა.

5. სახელმწიფო

სახელმწიფოს ცნება. სახელმწიფოს თეორიები. პლურალისტური სახელმწიფო. კაპიტალისტური სახელმწიფო. სახელმწიფო-ლევიათანი. პატრიარქალური სახელმწიფო.

სახელმწიფოს როლი. მინიმალური სახელმწიფო. განვითარების სახელმწიფო. კოლექტივისტური სახელმწიფო. ტოტალიტარული სახელმწიფოები.

გლობალიზაცია და სახელმწიფო. სუბსახელმწიფოებრივი მართვა.

6. ერები და ნაციონალიზმი

ერის ცნება. ერები როგორც კულტურული ერთობები. ერები როგორც პოლიტიკური ერთობები.

ნაციონალიზმის სახეები. ლიბერალური ნაციონალიზმი. კონსერვატიული ნაციონალიზმი. ექსპანსიონისტური ნაციონალიზმი. ანტიკოლონიალური ნაციონალიზმი.

პოლიკულტურალიზმი. ერი-სახელმწიფოს მომავლის საკითხი.

7. გლობალიზაცია

გლობალიზაციის ცნება. გლობალიზაციის ფაქტორები და ტენდენციები. გლობალიზაციის კონცეფციები. რეგიონალიზაცია. ევროკავშირი. მსოფლიო მთავრობის იდეა. გაერო.

8. საშინაო პოლიტიკა

ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის ცნებები. "ცენტრი-პერიფერიის" ურთიერთობები. ფედერაციული სისტემები. ფედერალიზმის დამახასიათებელი ნიშნები. ფედერალიზმის პლიუსები და მინუსები. უნიტარული სისტემები. ადგილობრივი მთავრობა. დეკლუცია (უფლებამოსილებათა გადაცემა).

ეთნიკური და ადგილობრივი პოლიტიკა. ეთნიკური პოლიტიკის გამოცოცხლება. ადგილობრივი პოლიტიკა.

9. ეკონომიკა და საზოგადოება

ეკონომიკური სისტემის ცნება. კაპიტალიზმის სახესხვაობები. სამეწარმეო კაპიტალიზმი. სოციალური კაპიტალიზმი. კოლექტიური კაპიტალიზმი. მართული თუ უმართავი კაპიტალიზმის საკითხი.

სოციალიზმის სახესხვაობები. სახელმწიფო სოციალიზმი. საბაზრო სოციალიზმი. ეკონომიკაში "მესამე გზის" საკითხი.

სოციალური სტრუქტურა და მისი კატეგორიები. საზოგადოებრივი კლასი. კლასობრივი პოლიტიკის აღმავლობა და დაცემა. ანდერკლასი. რასა. სქესი.

10. პოლიტიკური კულტურა და ლეგიტიმურობა

ცნობიერებაში მიმდინარე პოლიტიკა: კულტურა და კომუნიკაცია. სამოქალაქო კულტურა და იდეოლოგიური ჰეგემონია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პოლიტიკური კომუნიკაცია. სოციალური კაპიტალის დეგრადაციის საკითხი.

ლეგიტიმურობა და პოლიტიკური სტაბილურობა. ხელისუფლების ლეგიტიმაცია. ლეგიტიმურობის კრიზისი. რევოლუციის მიზეზები. რევოლუციის მარქსისტული თეორიები. რევოლუციის არამარქსისტული თეორიები.

11. წარმომადგენლობა, არჩევნები და ხმის მიცემა

წარმომადგენლობის არსი. წარმომადგენლობის თეორიები (მინდობილობის მოდელი, დელეგირების მოდელი, სამანდატო მოდელი, პროპორციული წარმომადგენლობა).

არჩევნები. არჩევნების ფუნქციები. საარჩევნო სისტემები. ელექტორალური ქცევა. ხმის მიცემის თეორიები. პარტიასთან იდენტიფიკაციის მოდელი. სოციოლოგიური მოდელი. რაციონალური არჩევანის მოდელი. გაბატონებული იდეოლოგიის მოდელი.

12. პარტიები და პარტიული სისტემები

პარტიული პოლიტიკა. პარტიების ტიპები. პარტიების ფუნქციები (წარმომადგენლობა, ელიტის ფორმირება და შევსება, მიზნების განსაზღვრა, ინტერესების არტიკულაცია და მათი აგრეგირება, სოციალიზაცია და მობილიზაცია, მთავრობის ორგანიზება). პარტიული ორგანიზაციები: ხელისუფლების შიდა განაწილება. პარტიული სისტემები. ერთპარტიული სისტემები. ორპარტიული სისტემები. სისტემები დომინირებული პარტიით. მრავალპარტიული სისტემები. პარტიების როლის შემცირების ტენდენცია.

13. საზოგადოებრივი ჯგუფები, ინტერესთა ჯგუფები და საზოგადოებრივი მოძრაობები

საზოგადოებრივი ჯგუფები პოლიტიკაში. ჯგუფების ტიპები: ტრადიციული (თემური) ჯგუფები, ინსტიტუციონალური ჯგუფები, ასოციაციური ჯგუფები.

პოლიტიკაში ჯგუფების მონაწილეობის მოდელები: პლურალიზმის მოდელი, კორპორატივიზმის მოდელი, "ახალი მემარჯვენეების" მოდელი.

პოლიტიკაში ჯგუფების მონაწილეობის პრაქტიკა: ინტერესთა ჯგუფების მნიშვნელობა. რა გავლენას ახდენენ ჯგუფები პოლიტიკაზე.

საზოგადოებრივი მოძრაობები. ახალი სოციალური მოძრაობები.

14. კონსტიტუცია.

კონსტიტუციის ცნება. კონსტიტუციების კლასიფიკაცია. კონსტიტუციის მიზნები. სახელმწიფო იურისდიქციის განსაზღვრა. ზოგადი ფასეულობებისა და მიზნების დადგენა. მმართველობის სტაბილურობის უზრუნველყოფა. თავისუფლებათა დაცვა. რეჟიმების ლეგიტიმაცია.

15. სამართალი და სასამართლო სისტემები

სამართალი. სამართალი, მორალი და პოლიტიკა. სასამართლო ხელისუფლება. არიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკური ფიგურები. აკეთებენ თუ არა მოსამართლეები პოლიტიკას.

16. საკანონმდებლო ხელისუფლება

საკანონმდებლო კრებების როლი. საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემები. საკანონმდებლო კრებების ფუნქციები (კანონშემოქმედება, წარმომადგენლობა, დაკვირვება და კონტროლი, პოლიტიკური რეკრუტირება და მომზადება, რეჟიმის ლეგიტიმაცია).

საკანონმდებლო კრებების სტრუქტურა. ერთპალატიანი და ორპალატიანი საკანონმდებლო კრებები. კომიტეტები. საკანონმდებლო კრებების საქმიანობა. საკანონმდებლო ორგანოების როლი პოლიტიკაში. საკანონმდებლო ორგანოების როლის შემცირების ფაქტორები (დისციპლინირებული პოლიტიკური პარტიები, დიდი მთავრობა, ლიდერობის ნაკლი, ინტერესთა ჯგუფები და მასმედიის ხელისუფლება).

17. აღმასრულებელი ხელისუფლება

აღმასრულებელი ხელისუფლების როლი. აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკური როლის ფუნქციები (ცერემონიალური ხასიათის მოვალეობანი, კონტროლი პოლიტიკის განხორციელებაზე, პოლიტიკური ლიდერობა, სახელმწიფო სამსახურის მართვა, გადაწყვეტილებების მიღება კრიზისულ სიტუაციებში).

ხელისუფლება სახელმწიფოს აღმასრულებელ სისტემაში: ვინ მართავს? პრეზიდენტები. პრემიერ-მინისტრები. მინისტრთა კაბინეტი.

18. პოლიტიკური ლიდერობა

ლიდერობის თეორიები. ლიდერობის ფუნქციები. ლიდერთა ტიპები. ლიდერობის სტილი.

19. სახელმწიფო სამსახური

ბიუროკრატის თეორიები. ბიუროკრატია როგორც ადმინისტრაციული მანქანა. ბიუროკრატია როგორც ხელისუფლება. ბიუროკრატია როგორც თვითგანვითარებადი სისტემა.

ბიუროკრატის როლი. ბიუროკრატის ფუნქციები. ადმინისტრაციული მართვა. სათათბირო და საკონსულტაციო ფუნქცია. ინტერესების არტიკულაცია. პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. სახელმწიფო სამსახურის ორგანიზება.

ბიუროკრატის ხელისუფლება. ბიუროკრატის ხელისუფლების წყაროები. ბიუროკრატის კონტროლის გზები. სახელმწიფო სამსახურის პოლიტიზება. კონტრ-ბიუროკრატია.

20. პოლიტიკური პროცესი და პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება

პოლიტიკური პროცესი. გადაწყვეტილებათა მიღების თეორიები. რაციონალური არჩევანის მოდელი. ემპირიული მოდელი. ორგანიზაციულ-ბიუროკრატული მოდელი. იდეოლოგიური ფაქტორების როლი.

პოლიტიკური პროცესის სტადიები. პოლიტიკის ინიცირება. პოლიტიკის ფორმულირება. პოლიტიკის რეალიზება. პოლიტიკის შეფასება.

პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება. სტაბილურობის კრიტერიუმები. ეკონომიური განვითარების კრიტერიუმი. ადამიანის უფლებათა კრიტერიუმი. დემოკრატიულობის კრიტერიუმი.

ლიტერატურა

ძირითადი:

1. პოლიტიკა და პოლიტიკური მეცნიერება. ნაწილი I. თბ., 2006
2. პოლიტიკა და პოლიტიკური მეცნიერება. ნაწილი II. თბ., 2006
3. Heywood. Politics. Second edition. 2003; Э.Хейвуд. Политология: Учебник для студентов вузов. М., 2005
4. R. I. Jackson, D.Jackson. Acomparative Introduction to Political science. New Jersey, 1997.

დამატებითი:

5. გ.მკურნალიძე, მ.ხამხაძე. პოლიტოლოგია. თბ., 2000
6. პოლიტოლოგია. თბ. თსუ, 2004
7. ვ.შუბითიძე, ო.დავითაშვილი. პოლიტოლოგია. პოლიტიკური ტექნოლოგიები. თბ., 2002
8. ვ.ჭანია. პოლიტოლოგიის საფუძვლები. თბ., 2000
9. ენდრიუ ჰეივუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები. შესავალი კურსი. თბ. 2004.
10. М.Денкэн. Политическая наука. М., 1993
11. Категории политической науки. Учебник. Руководитель авторского коллектива А.Ю.Мельвиль. М., 2002
12. Политика: Толковый словарь. Originally published by Oxford University Press. Под ред. А.Маклина. М., 2001
13. Современная политическая теория. Автор-составитель Д.Хэлд. М, 2001
14. А.И.Соловьев. Политология: Политическая теория, политические технологии. М., 2000

ტესტების ნიმუშები

1. პოლიტიკურ მეცნიერებაში რომელი მიდგომა დამკვიდრდა XX საუკუნეში?
 - ა) ნორმატიული
 - ბ) ინსტიტუციონალური
 - გ) ბიჰევიორისტული
 - დ) ისტორიული
2. რომელი პოლიტოლოგი იდგა ბიჰევიორიზმის სათავეებთან:
 - ა) მ.ვებერი
 - ბ) ჩ.მერიამი
 - გ) რ. მიხელსი
 - დ) ს.ლიპსეტი
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელისუფლებას ეწოდება:
 - ა) დემოკრატია
 - ბ) ტექნოკრატია
 - გ) რაიტოკრატია
 - დ) არცერთი პასუხი არაა სწორი
4. პოლიტიკურ მეცნიერებაში სისტემური ანალიზის ფუძემდებელია:

- ა) მკებერი
- ბ) არისტოტელე
- გ) დ.ისტონი
- დ) გალმონდი

5. პოლიტიკური სისტემის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს:

- ა) პარტია
- ბ) სახელმწიფო
- გ) პოლიტიკური კულტურა
- დ) პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმები

6. სახელმწიფო როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი არის:

- ა) პოლიტიკური ხელისუფლების ორგანიზაცია გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში
- ბ) ადამიანთა ინტერესების სამართლიანი წარმომადგენლობის სისტემა
- გ) ბიუროკრატიაზე დამყარებული მმართველობის სისტემა
- დ) ყველა პასუხი სწორია

7. რა არის სახელმწიფო სუვერენიტეტი:

- ა) ხალხის უფლება აირჩიოს სოციალური და პოლიტიკური წყობა
- ბ) მოქალაქეების არსებობა სახელმწიფოს საკეთილდღეოდ
- გ) სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ზემოქმედების ჯგუფებისაგან
- დ) სახელმწიფოს დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფოებისაგან

8. რა იგულისხმება პოლიტიკური ხელისუფლების ქვეშ სამართლებრივ სახელმწიფოში:

- ა) ელიტის მიერ საკუთარი ნების სხვებისთვის თავსმოხვევის უნარი
- ბ) საზოგადოების მიერ თავისი უფლებამოსილების დელეგირება სახელმწიფოსთვის
- გ) მოქალაქეთა მორჩილება არსებული კანონებისადმი
- დ) სამივე პასუხი არასწორია

9. პოლიტიკური პარტია ასრულებს შემდეგ ფუნქციებს (მიუთითეთ ერთი არასწორი პასუხი):

- ა) პოლიტიკური;
- ბ) წარმომადგენლობითი;
- გ) რეკრუტირების;
- დ) ელექტორალური;
- ე) სოციალიზაციის;
- ვ) აღმასრულებელი.

10. როდის წარმოიშვა მასობრივი პოლიტიკური პარტიები?

- ა) XIX ს. ბოლოს
- ბ) პირველი მსოფლიო ომის შემდეგ
- გ) საფრანგეთის 1789 წ. რევოლუციის შემდეგ
- დ) XX საუკუნის მეორე ნახევარში

11. რომელი მსჯელობაა სწორი?

- ა) ყველა პარტია მხოლოდ კლასობრივი ნიშნით იყოფა
- ბ) ყველა პარტიას აქვს ინდივიდუალური ფიქსირებული წევრობა
- გ) ყველა პარტია მიზნად ისახავს სახელმწიფო ხელისუფლებისათვის ბრძოლას
- დ) სამივე პასუხი სწორია

12. ზემოქმედების ჯგუფები ეწოდებათ (მიუთითეთ ერთი არასწორი პასუხი):

- ა) არსებული რეჟიმის მიმართ ოპოზიციაში მყოფი ჯგუფები;
- ბ) ჯგუფები, რომლებიც კანონების შეცვლის ინიციატივით გამოდიან;
- გ) ჯგუფები, რომლებიც იპყრობენ და ინარჩუნებენ ხელისუფლებას;
- დ) ჯგუფები, რომლებიც იცავენ საკუთარ ინტერესებს.

13. დემოკრატიის ისტორიულად პირველ ფორმას წარმოადგენს:

- ა) ელიტარული დემოკრატია;
- ბ) პირდაპირი დემოკრატია;
- გ) პლურალისტური დემოკრატია;
- დ) წარმომადგენლობითი დემოკრატია.

14. "დემოკრატიზაციის მესამე ტალღის" კონცეფციის ავტორია:

- ა) ფ. შმიტერი
- ბ) გ. ო დონელი
- გ) ს. ჰანთინგტონი
- დ) რ. დალი

15. პოლიარქიის თეორიის ავტორია:

- ა) გ. ალმონდი
- ბ) ა. დე ტოკვილი
- გ) რ. დალი
- დ) ა. პშევორსკი

16. ქვემოთმოყვანილი შეფასებებიდან რომელი არ მიეკუთვნება დემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმებს:

- ა) ყველა დემოკრატიული რეჟიმი ხასიათდება ხელისუფლებათა დანაწილებით
- ბ) დემოკრატიული რეჟიმებისათვის დამახასიათებელია ფედერაციული და არა უნიტარული მოწყობა
- გ) ყველა დემოკრატიული რეჟიმი იცავს ადამიანის უფლებებს
- დ) სამივე პასუხი სწორია

17. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემისაგან თავის არიდება ესაა:

- ა) პაციფიზმი;
- ბ) ანარქიზმი;
- გ) პოპულიზმი;
- დ) აბსენტიზმი.

18. ნახევარსაპრეზიდენტო რესპუბლიკაში მთავრობა პასუხისმგებელია:

- ა) პარლამენტის წინაშე
- ბ) პრეზიდენტის წინაშე
- გ) სასამართლოს წინაშე
- დ) ხელისუფლების სამივე ზემოთდასახელებული ორგანოს წინაშე

19. დაასახელეთ ფორმალური ნიშანი რითაც საპრეზიდენტო მმართველობა განსხვავდება საპარლამენტოსაგან:

- ა) მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე
- ბ) მთავრობის ფუნქციონირების ვადა დადგენილი არაა
- გ) პრემიერ-მინისტრის თანამდებობის არსებობა
- დ) პრეზიდენტის მიერ მთავრობის მეთაურისა და სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობის შეთავსება

20. მმართველობის რომელი ფორმის დროს ყალიბდება მთავრობა პარტიული ნიშნით:

- ა) აბსოლუტური მონარქია
- ბ) საპრეზიდენტო რესპუბლიკა
- გ) საპარლამენტო რესპუბლიკა
- დ) დუალისტური მონარქია

21. სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ეროვნულ უმცირესობას მინიჭებული აქვს ავტონომია არის:

- ა) უნიტარული სახელმწიფო
- ბ) ფედერაციული სახელმწიფო
- გ) კონფედერაცია
- დ) არცერთი პასუხი არაა სწორი

22. კონვენციონალური მონაწილეობა პოლიტიკაში ესაა:

- ა) ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელი მოვლენა
- ბ) ლეგალური, კანონით რეგლამენტირებული მონაწილეობა
- გ) შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი მოვლენა
- დ) პოლიტიკური მონაწილეობა რაიმე პირობების საფუძველზე

23. ადგილობრივ ფასეულობებზე ორიენტაცია დამახასიათებელია:

- ა) ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურისათვის
- ბ) პატრიარქალური პოლიტიკური კულტურისათვის
- გ) მონაწილეობის კულტურისათვის
- დ) რელიგიური სუბკულტურისათვის

24. ქვემოთჩამოთვლილი ნიშნებიდან რომელი ახასიათებს სამოქალაქო საზოგადოებას:

- ა) კორპორატივიზმი
- ბ) ეტატიზმი
- გ) მოქალაქეთა დამოუკიდებელი ასოციაციები
- დ) სამივე პასუხი არასწორია

25. რომელი დასახელებული ნიშნები ახასიათებს ტოტალიტარიზმს:

- ა) ადამიანის უფლებები და თავისუფლებანი
- ბ) ხელისუფლებათა დანაწილება
- გ) ხელისუფლების მონოპოლია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე
- დ) სამივე პასუხი არასწორია

26. ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც მიზნად ისახავს რამდენიმე სახელმწიფოს გაერთიანებას ან სახელმწიფოს ერთი ნაწილის მიერთებას მეორე სახელმწიფოსთან ეწოდება:

- ა) "სამოქალაქო" ნაციონალიზმი
- ბ) "რეფორმატორული" ნაციონალიზმი
- გ) იმპერიული ნაციონალიზმი
- დ) ირედენტისტული ნაციონალიზმი

27. თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის ბაზისურ იდეოლოგიას წარმოადგენს:

- ა) კონსერვატიზმი
- ბ) ლიბერალიზმი
- გ) ნაციონალიზმი
- დ) სამივე ზემოთდასახელებული იდეოლოგია ერთად

28. რომელი იდეოლოგიის მომხრეებს ეწოდებენ "მემარცხენეებს":

- ა) კონსერვატიზმის;
- ბ) რადიკალიზმის;
- გ) ლიბერალიზმის;
- დ) სოციალიზმის

29. რომელი კლასიკური იდეოლოგიის წარმომადგენლები აკეთებდნენ აქცენტს პრინციპზე "სახელმწიფო ღამის დარაჯია":

- ა) მონარქიზმის
- ბ) ლიბერალიზმის
- გ) სოციალიზმის
- დ) კონსერვატიზმის

30. ხარიზმატული ლეგიტიმურობა ემყარება:

- ა) სპეციფიკური პოლიტიკური სტრუქტურების არსებობას
- ბ) ხელისუფლების ღვთიური წარმომავლობის რწმენას
- გ) მასების რწმენას ლიდერის განსაკუთრებული თვისებებისადმი
- დ) საზოგადოებაში გაბატონებულ იდეოლოგიას

წერილობითი დავალების ნიმუშები

1. პოლიტიკა როგორც სახელმწიფოს მართვის ხელოვნება
2. რაში მდგომარეობს კონსტიტუციის მნიშვნელობა
3. ლიდერობის სტილი
4. პარლამენტი: ერთპალატიანი თუ ორპალატიანი?

5. საარჩევნო სისტემის ზეგავლენა პარტიულ სისტემაზე
6. პოლიტიკური პროცესის სტადიები
7. როგორ შეიძლება გავაკონტროლოთ ბიუროკრატია?
8. XX საუკუნე: იდეოლოგიების დასასრული თუ იდეოლოგიური რენესანსი?
9. ნაციონალიზმის სახეები
10. გლობალიზაცია და ერი-სახელმწიფოების მომავალი